

იულიუს ჰაჩეკი

თანამედროვე დემოკრატიის უფლება



გვიად პორტატის
გამომხვმლვა

თბილისი
2016

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცნობილი გერმანელი პროფესორის იულიუს პაჩეკის, ჯერ კიდევ 1919 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილების მთელ ციკლს სახელწოდებით - „თანამედროვე დემოკრატიის უფლება“, სადაც ავტორი დემოკრატიის ყველა ფუნქციურ და მამოძრავებელ ელემენტები საუბრობს და ამით, ერთგვარად მკითხველისათვის დემოკრატიის პრინციპის ანატომიის განსხვეულებას ახდენს. ნაშრომი თარგმნილია XX საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევარში ვ. მოძველის მიერ და გამოქვეყნდა ქართულ პერიოდიკაში.

გამოცემა განკუთვნილია იურისტების, პოლიტოლოგების და დემოკრატიის პრინციპით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორები:

ზვიად ქორმაძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „კორმაძის საადვოკატო ბიუროს“ მმართველი პარტნიორი, ადვოკატი, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის თავმჯდომარე

თორნიკე ნემსწვერიძე

სამართლის ბაკალავრი (თსუ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო სამართლის მიმართულების მაგისტრანტი

© იულიუს პაჩეკი, 2016

© ვ. მოძველი (მთარგმელი), 2016

© „ზვიად ქორმაძის გამომცემლობა“, 2016

ISBN 978-9941-0-8831-5

„თანამედროვე დემოკრატიის უფლების“ გამოცხადისათვის

სამართლის მეცნიერებაში ძალიან მნიშვნელოვანი და პრაქტიკული სასარგებლოა შედარებითი იურისპრუდენციის კვლევის მეთოდი, რაშიც არ იგულისხმება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ნორმებთან შედარება. შედარებითი იურისპრუდენციის მეთოდით ხელმძღვანელობდნენ 1918-1921 წლებში, პირველი ქართული კონსტიტუციის მიღების პროცესში კონსტიტუციის „მამები“. ამ დროს პავლე საყვარელიძის¹ ავტორობით გამოიცა ნაშრომები - „წერილები სხვადასხვა ქვეყნების წესწყობილებაზე“² და „სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წესწყობილება“³, - სადაც განხილულია არა მხოლოდ ამა თუ იმ ინსტიტუტის საკანონმდებლო მოწესრიგების მოდელი და მარეგულირებელი კანონმდებლობა, არამედ მასთან დაკავშირებული ცნობილი უცხოელი მეცნიერების შეხედულებები. იმ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი იყო საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა და მეცნიერიულისტების მოსაზრებების ცოდნა, რათა ქართული სახელმწიფო სწორი კურსით წაეყვანა მმართველ პოლიტიკურ ძალას. ამასთან დაკავშირებით, პირველი ქართული კონსტიტუციის ერთ-ერთი შემოქმედი გიორგი გვაზავა⁴ აღნიშნავდა,

¹ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე (1919-1921), 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

² პირველად გამოიცა 1918 წელს, ხოლო მეორედ პირველი ქართული კონსტიტუციის 95 წლისთვის აღნიშნავდო მიძღვნილ კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ძირითადი კანონის მისაღებად გამართული სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწევერიძის რედაქტორობით, „ზვიად კორძაძის გამოქვემდობა“, თბილისი, 2016.

³ პირველად გამოიცა 1920 წელს.

⁴ ცნობილი ქართველი იურისტი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარალამენტო ფრაქციის მეთაური, მოსკოვის უნივერსიტეტისა და სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

რომ უცხოური კონსტიტუციებისა და ნორმების პირდაპირი გადმოტანა არ უნდა მომხდარიყო ჩვენს კანონმდებლობაში, პირიქით ის უნდა მორგებოდა ჩვენს რეალობასა და თავისებურებებს და ამის შემდეგ მისცემოდა სანქცირება სახელმწიფოსგან.

სწორედ ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენდა ცნობილი გერმანული მეცნიერის, სახელმწიფო სამართალმცოდნის, პროფესორ იულიუს ჰახეგის ფუნდამენტური ნაშრომიდან - Das Recht der Modernen Demokratie: Aus: Allgemeines Staatsrecht Auf Rechtsvergleichender Grundlage, Teil 2, 1909 (Sammlung G Schen) (German Edition)⁵ - ერთი ნაწილის თარგმნა ვ. მოძველის მიერ სათაურით - „თანამედროვე დემოკრატიის უფლება“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“⁶. ეს საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო პროცესის კვალდაკვალ აუცილებელი გახდა დემოკრატიის უფლება-პრინციპის მასშტაბის განსაზღვრა და მისი სრული მოცემულობით პრაქტიკაში რეალიზება.

როგორც აკაკი ბაქრაძე იტყოდა - „წიგნს აუცილებლად უნდა ეტყობოდეს ეპოქის კვალი, სურნელება, ხასიათი...“ - ამიტომაც, წინამდებარე გამოცემაში შენარჩუნებულია თარგმანის ავტორის სტილი, მცირედ და უმნიშვნელო, ტექნიკური ხასიათის შესწორებებს თუ არ გავითვალისწინებთ. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ქართული თარგმანი გამოიცა XX საუკუნის 20-იან წლებში, ამიტომაც ტექსტში მოჭარბებულად

⁵ 1913 წელს აღნიშნული ნაშრომი რესულად ითარგმნა და გამოიცა. იხ. Гачек Ю., Общее государственное право на основе сравнительного правоведения, Право современной демократии, ч. 2, Под ред. и с предисл. М.А. Рейнсера, Рига, 1913.

⁶ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 აგვისტო, 1919; 8 აგვისტო, 1919; 12 აგვისტო, 1919; 23 აგვისტო, 1919; 24 აგვისტო, 1919; 26 აგვისტო, 1919; 28 აგვისტო, 1919; 29 აგვისტო, 1919; 7 სექტემბერი, 1919; 10 სექტემბერი, 1919; 11 სექტემბერი, 1919; 12 სექტემბერი, 1919; 28 სექტემბერი, 1919; 3 ოქტომბერი, 1919; 4 ოქტომბერი, 1919; 5 ოქტომბერი, 1919; 7 ოქტომბერი, 1919; 8 ოქტომბერი, 1919; 9 ოქტომბერი, 1919; 10 ოქტომბერი, 1919; 18 ოქტომბერი, 1919; 19 ოქტომბერი, 1919; 22 ოქტომბერი, 1919; 23 ოქტომბერი, 1919;

იგრძნობა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, წინადაღების წყობა, რომელიც დღეს შესაძლოა გრამატიკულად გამართულად არ მოგვეჩენოს, მაგრამ ტექსტის შინაარსის აღსაქმელად პრობლემას არ შექმნის.

პროფესორი იულიუს ჰაჩეკი (Professor Julius Hatschek) დაიბადა 1872 წლის 21 აგვისტოს ქალაქ ჩერნოვცში (Czernowitz). სამართალს სწავლობდა ლაიფციგის, ჩერნოვცის, ვენისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. 1895 წელს მან დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ხოლო 1898 წლიდან კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი გახდათ. პროფესორი ჰაჩეკი იყო კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და საერთაშორისო სამართლის ადიარებული მკაფიობელი. მან მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა სახელმწიფო სამართლის სფეროში და აქტუალობა ამ ნაშრომებში გამოიქვედა მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს. გარდაიცვალა 1926 წლის 12 ივნისს გოტიგენში.⁷

წინამდებარე ნაშრომში პროფესორი ჰაჩეკი განიხილავს თანამედროვე დემოკრატიის საფუძვლებს, იმ ძირითად მექანიზმებს, რომლებსაც ეყრდნობა დემოკრატიის ქვაკუთხედი; ავტორი მსჯელობს დემოკრატიის თეორიულ გამოვლინებაზე და იმაზე, თუ როგორ რეალიზდება იგი პრაქტიკულ სივრცეში. განიხილავს უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის არჩევნებს, რეფერენდუმებსა და სხვა; ასევე, საკანონმდებლო ხელისუფლების კონტროლის მექანიზმებს, სახელისუფლო შტოებს შორის დამოკიდებულებას, უფლებებისა და თავისუფლებების ფუნქციებსა და მათ წარმოშობას, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას და სხვა. მეტად საინტერესოა მისი მსჯელობა

⁷ <http://stadtarchiv.goettingen.de/frames/fr_personen.htm> [21.03.2016].

⁸ პროფესორ ჰაჩეკისა და მისი ნაშრომების შესახებ დაწერილებით იხ. ქათარია ბ., კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირების ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2013, 32-33.

საარჩევნო უფლების მამოძრავებელ ძირითად პრინციპებზე - თავისუფლებასა და თანასწორობაზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორი მიმოიხილავს მისი თანამედროვეობის სამართლებრივ წესრიგს, სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ დღეს მთელი რიგი საკითხები განსახვავებულად წესრიგდება.

„ზეიად კორძაძის გამომცემლობის“ მიზანს წარმოადგენს მსგავსი დირებული სამართლებრივი გამოცემების მკითხველადდე მიტანა, რათა მრავალი საინტერესო შენაძენით შეივსოს ქართული იურიდიული ლიტერატურის ფონდი.

ზეიად კორძაძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
„კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ მმართველი პარტნიორი, ად-
ვოკატი, საქართველოს იურიდიული ფირმების
ასოციაციის თავმჯდომარე

თორნიკე ნემსწვერიძე

სამართლის ბაკალავრი (თსუ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
ტის საჯარო სამართლის
მიმართულების მაგისტრანტი

2016 წლის მაისი

შინაარსი

§1. თანამედროვე დემოკრატიის საფუძვლები	9
§2. თანამედროვე დემოკრატიის ფორმები.....	16
§3. დამფუძნებელი ხელისუფლება ანუ pouvoir constituant.....	30
§4. საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობა: სახალხო სუვერენიტეტი და საკანონმდებლო ხელისუფლება	46
§5. საკანონმდებლო ხელისუფლებაზე საკონტროლო საშუალებანი, განსაკუთრებით რეფერენდუმი.....	55
§6. აღმასრულებელი ხელისუფლება.....	76
§7. დემოკრატიულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის დამოკიდებულება	91
§8. სასამართლო ხელისუფლება.....	99
§9. სახელმწიფო სამსახური.....	107
§10. ოფიციალურობა.....	112
§11. კონსტიტუციური გარანტიები: თავისუფლების უფლებანი	114
§12. სახელმწიფო და ეკლესია	124
§13. საპარლამენტო არჩევნების უფლება თანამედროვე დემოკრატიაში.....	131

შპს „ზეიად კორძაძის გამომცემლობა“
თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №21, ბლოკი A, პირველი
სადარბაზო

ტელ.: 0322 38 03 22

<https://www.facebook.com/ZviadKordzadzePublishing/>